მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | — | — | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | 50 | — | 1 |

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) პასუხი ბ.ბ. „პროტესტანტებს". 2) ფელეტონი: წესიერება. 3) დოკუმენტი სოც.-დემოკრ. ბრძოლისა რუსეთის რევოლიუციაში. 4) პასუხი „ლამპარს". 5) ახალი ამბები. 6) რუსეთის ქრონიკა. 7) წერილების ყუთი. 8) გადაიდვა სან[illegible] ყუთში. 9) დეპეშები.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; სალამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 7 სამშაბათი 13 ივნისი 1906 წ. თბილისი № 7

რედაქცია სთხოვს ყოველგან ყველა ამხანაგებს, თანა-მოაზრეებს და იმათ, ვინც თანაუგრძნობს გაზეთის მიმართულებას, გაუწიოს ენერგიული დახმარება: ეკონომიური და იდეიური კოოპერაცია გაზეთის გამოცემის საქმეს: სალამოების გამართვით, სპექტაკლების დადგმით, და ხელის მოწერის გამართვით, რეფერატებით.

ვთხოვთ პროვინციაში გაფანტულ ამხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის გავრცელებას, მოგვაწოდონ წერილები და კორესპონდენციები.

**ვთხოვ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფულები ყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი.**

ჩვენ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კალონები **მუშის**, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

## პასუხი ბ.ბ. „პროტესტანტებს".

### I. პასუხი სოციალ-დემოკრატებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ბ.ბ. სოციალ-დემოკრატები ძლიერ გაამწარა ანარქისტების მოვლინებამ, განსაკუთრებით ჩვენში. საკვირველიც არ არის,—ყოველი უაზრო და დოგმით ტვინ-გალაყებული ადამიანი ქკუაზედ იშლება, როცა სხვას, მოწინააღმდეგე აზრის ადამიანს დაინახვს საზოგადო ასპარეზზედ გამოსულს და თავის აზრთა გამავრცელებელს ადამიანთა შორის.

დიდი ხანი არ არის, რაც ანარქისტებმა ჩვენი აზრების გავრცელება დავიწყეთ. ს.-დემოკრატემბა ჯერ იკლიკანტური და უშნო ოხუნჯობა დაიწყეს თავიანთ გაზეთში, და სდუმდენ,—არც ერთ პრინციპიალურ კითხვაში არ გამოგვეკამათენ. მხოლოდ უკანასკნელად დაიწყო ბ-ნმა ლეომ პლეხანოვის კაი ხნის ნაცოხნის ცოხნა. მაგაზედ პასუხის მიცემა—პლეხანოვის წინააღმდეგ გათავებული პოლემიკის დაწყება იქნება, მაგრამ, რა გაეწყობა,—უნდა დავცალოთ ფიალა ტანჯვის და უნდა გადავლეკოთ თავის დროზედ ბ. ლეოს ათასჯერ გადალეკილი ერთი და იგივე ელემენტალური ცნებანი, თუ მისმა რკინის შუბლმა ისევ არ გამოსტყორცნა ცერცვივით, რასაც ზედ შეაყრიან.

ეხლა კი სხვა საგანზედ უნდა გავსცეთ პასუხი ბ-ნ სოც.-დემოკრატებს,—ამ წერილში სწორედ ბ-ნ სოც.-დემოკრატებს, შემდეგში მუშებს და მერე კიდევ მოსწავლე ახალ-გაზდობას. ეს შეიძლება იწყინონ როგორც ბ-ნ სოც.-დ—ებმა, ისე მუშებმა, როგორ თუ, ეს ორი ცნება ერთი და იგივე არ არისო, მაგრამ რა ვქნათ,—რომ არ არის, განა ჩვენი ბრალია, და რომ სოც.-დ—ებს შეიძლება ეს ერთი და იგივე ეგონოთ,—განა მათი ინდაურობა ჩვენ დაგვბრალდება?

ბ.ბ. სოც.-დ—ებო! ერთი მიპასუხეთ, რამ აგალრიალათ ასე მწარედ? რა მოხდა, რამ მოგიწამლათ სულის სიმშვიდე? ერთი თქვენთაგანი,—სახელს არ აწერდა,—ჩვენ გიჟებს გვიძახოდა. უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ახალი მოვლენა არ არის; მაგ უაზრო ქმნილებას ალბად სადღაც გაუგონია, რომ ბურჟუებმა ანარქისტების წინააღმდეგ ერთი საშვალება იხმარეს; სიგიჟეს შესწამებენ ხოლმე და საგიჟეთში ამწყვდევდენ მათ, რომ სხვა საშუალება აღარა ჰქონდათ მათ წინააღმდეგ საბრძოლველათ.

ასე უქნეს პრენანს საფრანგეთშიო, ასევე უპირებდენ ლუიზ მიშელს, კომმუნის ამ საუკეთესო გმირს. ს.-დ.-ებმა რასაკვირველია, როგორც ყოველისფერი, ესეც ბურჟუაზიისაგან გადიღეს, ანარქისტების წინააღმდეგ (სხვათა შორის დანოსი) და ჩვენი ქართველი ს.-დ.-ები რასაკვირველია ფეხის ხმას უნდა აყვნენ, სისულელეშიდაც უნდა განამტკიცონ „ინტერნაციონალური სოლიდარობა". მაგრამ ერთი მაკვირვებს,—სხვისაგანაც, რომ არ გაუგონია სიტყვა „გიჟი" „ლამპარის" მართლაც და ლაფშ-მოხეულ წირპლიან პუბლიცისტს? მაგონდება,—ერთხელ ფილიპე გოგიჩაიშვილმა დაუძახა „გიჟი" ფ. მახარაძეს. ფ. მახარაძემ ფ. გოგიჩაიშვილიც გალანძღა და მასთან ერთად ერთი ამ დროის „ივერიელიც". ამ უკანასკნელმა კი ფ. გოგიჩაიშვილს წაჰხედა და ფ. მახარაძეს იმანაც „გიჟი" უწოდა. შემდეგ კი დასტოვა „ივერია" და „გიჟთან", ფ. მახარაძესთან ეწევა ეხლა ხალხის განათლებას! ეს ის ვაჟბატონი ხომ არ არის თვითონ, ეხლა რომ „გიჟი" გვიწოდა, ან მისგან ხომ არ ისწავლია სიტყვა „გიჟი" „ლამპრის" შეუდარებელ პოლემისტს? პირველ შემთხვევაში მოვაგონებთ „ზნეობა ფაქიზ" ქვეწარმავალს, რომ ამის ერთი ანდაზა, რომელიც მან ძლიერ კარგად იცის: Ce chien revient à son vaumissement მეორე შემთხვევაში კი ˆქართული ანდაზაც ეყოფა,—წამხედურამ წაიხედ და... მაგრამ მიუხედავათ თქვენ მიერ „გიჟის" წოდებისა და მშვენიერი ლექსისაც კი, მართალი მოგახსენოთ, მართლა ფიქრს ეძლევა კაცი,—ხომ არ გაგიჟებულხართ, ბ.ბ. მეცნიერნო ს.-დ.-იისავ!

თქვენ რომ ყოველთვის იეზუიტები იყავით და თქვენთან წმინდა კამათი და ლაპარაკი არ შეიძლებოდა,—ეს კაი ხანია ვიცოდი. თქვენ ხომ ყოველთვის ფანატიკოსები და არავითარი საშუალების დამზოგველები არ იყავით მოწინააღმდეგის მოსასპობად, როგორც კათოლიკები,—ესეც ძლიერ კარგად ვიცოდი და ვიცი ეხლაც. თქვენი ისტორია ევროპაში რომ სამარცხვინოა, განსაკუთრებით ინტერნაციონალიში 1872 წლამდე და შემდეგ კიდევ ხომ უარესი,—ეს მგონია თქვენც კარგად იცით, რომ სინიდისი გქონოდეს სიმართლის აღიარებისა. თქვენ წინააღმდეგ რომ მთელი ქვეყნის პროლეტარიატია ამხედრებული და კრეტინებს გიწოდებენ თქვენი მემარცხენეებიც კი,—ესეც ხომ კარგად მოგეხსენებათ. თქვენი კონგრესსები რომ საზიზღარი სცენების მოწამენი იყვენ ხოლმე, განსაკუთრებით 1893 წლიდამ,—ამაზედ ჰკითხეთ ბებელს და პლეხანოვს ერთი მხრით, და დომელა ნიევონჰაისს და ჩიჰპრიანის მეორეს მხრით; ეს უკანასკნელი ისე გააბრაზა თქვენმა საქციელმა, რომ მთელი ქვაბი დინამიტით უნდოდა აეფეთქებინა ციურიხის კონგრესსი, თუმცა იგი უფრო ს. დ-ია, ვიდრე ანარქისტი.

თქვენ რომ საქართველოში საზიზღრობა ჩაიდინეთ, და რაც ჩვენ გითხარით ძარცვისა, ყვლეფისა, ფანატიზმისა და ინკვიზიციის ამბები, თქვენ მიერ ჩადენილნი,—ესეც ხომ ჩვენზედ უფრო კარგად მოგეხსენებათ- შეიძლება თქვენი ქულიკობის ისტორია მერე დაიწეროს საქართველოში, და მაშინდლისთვის ამზადებთ პასუხს, მიტომ არ მოიყვანეთ არც ერთი წინააღმდეგი საბუთი „მუშისა" და „ნობათის" წინააღმდეგ? რას იტყვით გმირებო? ჩვენ რომ პირველად აქ დავიწყეთ მოქმედება და თქვენ ხალხში იმას გვიყვიროდით, —ანარქისტებს დედები შვილებს უნდათ შერთონ და დები ძმებსო, იცოდით რა, რომ ეს უფრო აღაშფოთებდა ხალხის გულ-უბრყვილო ზნეობას,—ესეც ხომ ფაქტია; პირადად მე გავხდი ამისთანა ცილის წამების მსხვერპლი. თქვენ რომ მიტინგებზედ არავის არ ალაპარაკებდით—ხალხი ჩვენიაო, თანაც იეზუიტურად ილრიჭებოდით—რა ვქნათ, ხალხს არა სურსო,—ესეც ხომ ფაქტია? თქვენ რომ ბოიკოტი გამოაცხადებინეთ ხალხს ერთგან, ერთ საქმეში, (ამისი პირადი მოწამეცა ვარ), რომელიც საქვეყნო იყო,—თქვენი ბინძური თავ-მოყვარეობით,—ესეც ხომ ტყუილი არ არის? თქვენ რომ ლიტერატურასა სწვავდით, კარგი ხანია მას აქეთ,—როგორც რუსეთში, ისე უწინაც და ეხლაც საქართველოში,—განსაკუთრებით „ნობათსა" და „მუშას" (ძველ „ხმას") რომ ახევთ ხელში დამტარებელ ბავშვებს და სცემთ,—ესეც ტყუილია? ყოველივე ამის შემდეგ თქვენ რომ სინიდისი გქონდესთ და მართლაც ინკვიზიტორები და იეზუიტები არ იყოთ, სხვას წაუკითხავდით სახარებას თავზედ? (მე თქვენი ინკვიზიტორობის საქმეებიც მსმენია, მოწმედ თქვენივე დეპუტატი შეიძლება რომ იყოს; თვითონვე გიამბობსთ, თუ გსურთ, „დუმიდამ" რომ დაბრუნდება). რამდენი რამ არ უნდა ჩამოვთვალო, რომ თქვენ თვითონვე არ იცოდეთ! მაგრამ ყველა ეს არ მაკვირვებს. ყოველივე ეს იაკობინური პარტიისაგან არ არის გასაკვირველი. სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების შეზღუდვა, რწმენისა და სინიდისის მონოპოლია, განუსაზღვრელი ფანა-

ტიზმია და იეზუიტიზმი,,—ეს იაკობინელთა საქმე იყო ყოველთვის, მაგრამ ისეთი შეუბრალებელი კაცის კვლა, როგორც მაგალითად მიხაკოსანძის მოკვლა ხონში, ხალხის ძარცვა-გლეჯა, ხარკის დადება ღარიბ-ღატაკებზედ და უმსგავსო დევნა სხვა რწმენის პარტიათა თქვენისთანა მართლაც ნერონისებური საშუალებით.—ეს უკვე იაკობინიზმს აღემატება. ჩემის ფიქრით, ამისი მიზეზი ის არის, რომ თქვენ პატარა კრეტინები ხართ და სულით მდაბალი ქვე-მძრომები დიდი რევოლიუციის იაკობინელებთან შედარებით. ყოველ თქვენგანს თავი რობესპიერი ან სენ-ჟიუსტი ჰგონია, მაგრამ ისიც არ უნდა დაგავიწყდესთ, რომ თქვენ უნიჭო, უძლური და კრეტინი სენ-ჟიუსტები და რობესპიერები ხართ, რაიც შორს ვერ წაგიყვანსთ და სახელს ვერ მოგიხვეჭავსთ!

მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, ყოველივე ეს კი არა გაგვკვირვებია ასე ძლიერ.—თქვენი ჭირი ძველია, ცნობილია, მე პირადად ამ ჭირში ვბერდები. ყველაზედ მეტი თქვენი კრეტინობა იმაში გამოიხატა, რომუშებისაგან ხელ-წერილებსა ჰკრებთ და გვეუბნებით, „მუშას“ სახელი გამოუცვალეთ, ჩვენთვის ეს შეურაცმყოფელიაო. ეს პირდაპირი კრეტინიზმია, რომ შიგ მართლაც ბინძური დემაგოგობა (თქვენი სიტყვაა?) არ იმალებოდეს. ამის უფლება თვით თვითმპყრობელობასაც არა აქვს. მას შეუძლია დახუროს გაზეთი, ციმბირში გაგზავნოს, დაახრჩოს, მაგრამ გიბრძანოს—გაზეთი ამა თუ იმ სახელითაო გამოსცეო, სახელი გამოუცვალეო, ამისთანა ბრძანება თავის დღეში არ მოსვლია ფიქრად არც ერთ დესპოტსა და არც ერთ პოლიციის პრეფექტს! ამას მარტო სოციალ-დემოკრატები თუ იზამენ! მალე დაიცათ, შეიძლება, არა სოც.-დემოკრატების ოჯახებს და ვისაც მოუნათლავი ბავშვი ეყოლება,—უბრძანებთ არ დაარქვან ან ნოე, ან ისიდორე, ან გიორგი,—და დარწმუნდით, ეს სიტუტუცე თქვენ მიერ უკვე ჩადენილზედ უფრო სასაცილო არ იქნება! ასე რომ, ეს პროტესტი—პროტესტი კი არა, დარწმუნდით, სიტუტუცეა! იმუქრებით ბ. სოც.-დემოკრატებო? გვრწამს თქვენი მუქარა. მთელი ბურჟუაზია თქვენ მხარეზეა, კაცის მკვლელები (ლეკები???) ბევრი გყავსთ, მოსყიდული და არა-მოსყიდული ფანატიკოსიც, დანოსებიც გემარჯვებათ; რატომ არა, გამარჯვება თქვენი იქნება! მაგრამ, იცოდეთ, თქვენი არ გვეშინია! თვითმპყრობელობა, ჯარი, პოლიცია, ბურჟუაზია, ყველა ეს ჩვენზედ უფრო ძლიერია, მაგრამ მათი არ გვეშინია. თქვენც მათ მიემატეთ ჩვენს წინააღმდეგ,—არაფერია; ისტორიაში ჩვენ წილად გვხვდა ტანჯვა და წამება ყველა მთავრობათაგან და იეზუიტთაგან,—თქვენ ხომ მათი გამონაკლისი არ იქნებით. მაგრამ ესეც არის, რომ სხვა „პარტიების“ ცემას რომა სჩვევიხართ,—ისინი არ გეგონოთ! ჩვენს შესახებ, სჯობია ასჯერ გაზომოთ და ერთხელ გადასჭრათ!!! დასასრულ—მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბ. სოც.-დ-ებო! თქვენში კიდევ მეგონა ადამიანობა, მაგრამ თურმე მსგავსიც არა ყოფილა-რა. მაგონდება ეხლა უფრო ნათლად ერთი დიდი წიგნი სახელად „ინკვიზიციის ისტორია“. მან ისეთი შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ, რომ შემაზიზღა საზოგადოდ რელიგია და მისი საშინელი ორგანიზაციები ჩვენ წუმპით აღსავსე დედამიწაზედ. ეხლა სრულიად დავრწმუნდი, რომ თქვენსა და მათ შორის დიდი მსგავსება ყოფილა. ამის შემდეგ არ მსურს თქვენთან ლაპარაკი, ლანძღვა გინებისა და სინიდისიერების თემაზედ, რადგანაც პატიოსან ადამიანად არ მიმაჩნია ს.დ-ს საშუალო ტიპი. მე უარ-ვყოფ თქვენ ზნეობასა და პატიოსნებას, ადამიანობას,—ეს არის ეხლა ჩემი რწმენა, შეიძლება შემცდარიც, მაგრამ მაინც რწმენა,—და ამ შემთხვევაში ლაპარაკი თქვენთან ჩემის მხრივ უზნეობაც იქნებოდა.

—

P. S. ერთი რჩევა: მიდით „Голосъ Кавказа“-ს რედაქციაში და უბრძანეთ,—სახელი გამოუცვალონ,—რა ნება აქვს ერთ მუჭა ხულიგანს მთელი კავკასიის სახელით ილაპარაკოს!...

Bâton.

## დოკუმენტი სოც.-დემოკრა[...]ულ ბრძოლისა რუსეთის რევ[...]ლიუციაში.

რუსეთის სოც.-დემოკრ. მუშ[...]
პარტია.
პროლეტარებო ყველა ქვეყ[...]
შეერთდით!
თფილისის ვაჭრების მოთხოვ[...]
ბანი.
1) მოისპოს გილდები და [...]
გვარ არა პირდაპირი სახელმწიფო[...]
დასახადები. დაწესდეს პროგრეს[...]
გადასახადი შემოსავლის გვ[...]
მცირე შემოსავლიანი სრულიათ გა[...]
გისუფლდეს ყოველგვარ სახელმწ[...]
გადასახადებისაგან.
2) შემცირდეს სავაჭრო მაღაზ[...]
ქირა 50₀/⁰-ით.
შენიშვნა: აგრეთვე 50% [...]
ცირდეს ქირა იმ ვაჭრებს, [...]
დებსაც შკაფები აქვთ.
3) აეკრძალოს იმ ვაჭრებს, [...]
დების სახლში მომუშავებს სამუ[...]
აძლევენ, შრომის ფასის საქონლით[...]
ცემა—მიეცეს ფულით.
4) პოლიციელებს არა ჰქონდეთ [...]
თეატრის და ცირკების ბილეთები[...]
ლით გაუიდვა.
5) აეკრძალოს პოლიციელებს [...]
სოდ და ნისიად ყოველგვარი საქონ[...]
წაღება.
6) ვაჭრების ნება-დაურთველათ [...]
ნობის პატრონმა დუქანი არ დაა[...]
ვინოს.
7) ერთმანეთ-შორის ყოველ-გვ[...]
საჩივრებისთვის სასამართლოს არ მ[...]
მართოთ.

# ფელეტონი

—

**წესიერება.**

(თარგმანი პ. კროპოტკინიდან).

ჩვენ ხშირად გვაყვედრებენ, რომ დევიზათ ამოვირჩიეთ სიტყვა ანარხია, რომელიც აფრთხობს მხდალ გონებას. „თქვენი იდეები მშვენიერი არიან“, გვეუბნებიან ჩვენ, „მაგრამ დაგვეთანხმეთ, რომ თქვენი დევიზი უხერხულია. ანარქია—უწესოების, ხოსის სინონიმია. სიტყვა ანარქია იწვევს ჩვენ გონებაში წარმოდგენას ინტერესების განუწყვეტელ შეტაკებაზე, მუდმივ ბრძოლაზე და ჰარმონის დამყარების სრულ შეუძლებლობაზე“.

—

უპირველესათ ყოვლისა შევნიშნავთ, რომ აქტიურ პარტიას, ახალი მიმართულებების (теченій) პარტიას, ძვირათ აქვს საშუალება თვითონ უწოდოს თავის თავს სახელი. 1793 წლის სანკიულოტებს თვითონ კი არ უწოდებიათ თავის თავისთვის ეს სახელ-წოდება (прозвище). ეს სიტყვა მოიგონეს სახალხო რევოლიუციის მტერებმა. მაგრამ ნუ თუ ეს სახელწოდება არ შეიცავს განსაზღვრულ იდეას—დატანჯული ხალხის ამბოხებისას იდეას როიალისტების, ამ ეგრეთ-წოდებულ პატრიოტების, და იაკობინცების წინააღმდეგ, რომელნი, რაც უნდა თაყვანი სცენ მათ ბურჟუა-ისტორიკოსებმა,—იყვენ ნამდვილი ხალხის მტერები, სძულდათ და ეზიზღებოდა მათ ხალხი მის სილატაკისათვის, მის თანასწორობისა და თავისუფლებისადმი ლტოლვილებისათვის, მის რევოლიუციონური გულის-თქმისათვის. ასევე ითქმის სიტყვა ნიგილისტის შესახებაც, რომელიც დიდხანს იქცევდა ჟურნალისტების ყურადღებას და იყო დაუსრულებელ ,,კალამბურების''. თუ მათ, სანამდე არ გამოირკვა, რომ ნიგილისტები, ალტაცებული (исступленная) რელიგიური სექტა კი არაა, არამედ ნამდვილი რევოლიუციონური პარტია. პირველათ იხმარა ეს სიტყვა ტურგენევმა თავის რომან ,,მამები და შვილები'', მამებმა კი წაატანეს მას ხელი, რადგაც ისინი შურს ეძიებდენ თავიანთ ურჩ ,,შვილებისაგან'' შვილებმა სიმშვიდით მიიღეს ის; როდესაც კი მათ შეამჩნიეს, რომ ეს სიტყვა ხდებოდა სერიოზულ გაუგებრობის საბაბათ, მისაგან თავის ხსნა უკვე შეუძლებელი იყო. პრესას და საზოგადოებას არ სურდა სხვა სახელი ეწოდებია რუსის რევოლიუციონერებისათვის. არც ითქმის რომ ეს სიტყვა ყოფილიყოს უხერხული. ის შეიცავდა სრულიათ განსაზღვრულ იდეას. ის იყო გამომხატველი მთელი თანამედროვე ცივილიზაციის უარყოფისა, დამყარებულის ერთი საზოგადოებრივი კლასისაგან მეორის ბატონობაზე, უარყოფის არსებულ ეკონომიურ წესწყობილებისა, უარყოფის მთავრობისა და უფლებისა, უარყოფის ბურჟუაზიული პოლიტიკისა და მორალისა, რუტინული მეცნიერებისა და ხელოვნების, რომელნიც ხელს უწყობდენ ექსპლოატაციას, უარყოფა ცბიერ ზნე ჩვეულებისა, რომელნიც იყვენ ნაანდერძევი წასული საუკუნეებისაგან,—ერთი სიტყვით ყველა მისი, რის წინაშე ქედს იხრის ბურჟუაზიული ცივილიზაცია. ასევე მოუვიდათ ანარქისტებსაც. ინტერნაციონალში დაიბადა პარტია, რომელიც უარყოფდა ყოველივე უფლებას ასსოციაციაში და წინააღუდგა ყოველგვარ ავტორიტეტს; პირველათ ის უწოდებდა თავის თავს ფედერალისტების პარტიათ, შემდეგ კი სახელმწიფოს უარის მყოფელ (anti-etatistes) ან უფლობის უარის მყოფელ (anti-autoritaires) პარტიათ. იმ დროს ეს პარტია გვერდს უხვევდა

სახელ-წოდებას ანარხისტულს. სი[...]
ყვა ან-არხია, (ასე სწერდენ მა[...]
ამ სიტყვას), თითქოს, აახლოვებ[...]
ამ პარტიას პრუდონის მიმდევრ[...]
თან, რომელთა ეკონომიურ იდ[...]
ებრძოდა მაშინ ინტერნაციონა[...]
იმ იდეას მოწინააღმდეგენი განძ[...]
ხმარობდენ სახელ-წოდებას ანარქ[...]
ტებისას, რომლის წყალობით ი[...]
ნი ამტკიცებდენ, რომ ამ პარტ[...]
წარმომადგენელნი მიისწრაფვიან [...]
ამყარონ ყველგან უწესოება [...]
ხაოსი და არასდროს არ ჩაკვირ[...]
ბიან თავიანთ თეორიების შედე[...]
ანარქისტებმა მაინც მიიღეს [...]
სახელ-წოდება. ისინი პირველ[...]
თხოულობდენ, რომ ეწერათ ან-ა[...]
ხია, რადგანაც ამნაირათ და[...]
რილი, ნიშნავდა ბერძნულათ უ[...]
ლობობის უარ-ყოფას და ა[...]
არეულობას. მხოლოდ შემდ[...]
დაანებეს თავი ამისათვის ყურა[...]
ღების მიქცევას და თვით[...]
უწოდეს თავის თავს ანარქისტებ[...]
აი რას ამბობდა 1816 წ. ინგლის[...]
ლი ფილოსოფოსი ბენტამი ანარ[...]
ქისტებზე:— „ფილოსოფოსი, რო[...]
მელიც კი მიისწრაფის რაიმე კანო[...]
ნის გარდაქმნ-საკენ, არას დროს ა[...]
მოუწოდებს მის წინააღმდეგ ასაჯან[...]
ყებლად. ანარქისტი კი სულ სხვან[...]
ირათ იქცევა, ის უარყოფს თვი[...]

9) მაღაზიების ქირა თვის ბოლოს მიეცეს.

9) მეორე მუხლი შენიშვნითვე ამ მოთხოვნილებისა პირველის პირველ აპრილიდან ძალაში შევიდეს. ამასთანავე ვუერთდებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას და მათთან ერთად მოვითხოვთ: სიტყვის, გაფიცვის, კრებების, კავშირების და სინიდისის თავისუფლების, პიროვნების და ბინის ხელ-შეუხებლობას, დამფუძნებელ კრების მოწვევას პარლამენტი, საყოველთაო, ფარული კენჭის ყრით განურჩევლად სქესისა ეროვნებისა.

ტფილისის **კომიტ. რ. ს. დ. მ. პ.**

10 აპრილი 1906 წ.

სტამბა ტფილისის კომიტეტისა.

**შენიშვნა**. სწორედ საოცარია, როდესაც ერთი მხრით ბურჟუაზია აცხადებს თავის სოლიდარობას სოციალ-დემოკრატიის პარტიასთან, სოლიდარობას, რომელსაც ადასტურებს კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ., მეორე მხრით კი სოც.-დემოკრატია თავის თავს მუშათა პარტიას და სოციალიზმის პარტიას უწოდებს. ნუ თუ ამის შემდეგ არა გვაქვს უფლება სოც.-დემოკრატია ჩავთვალოთ სოციალიზმის „პოდლოგისტად“ და მუშების იდეალად ექსპლოატატორად, ნუ თუ ამის შემდეგ ეს ეპიტეტები, რომელსაც ჩვენ ვუძღვნით სოც.-დემოკრ. არ არის მისი ნამდვილი სახელი და მაშასადამე არავითარ ლანძღვას **მათთვის** არ უნდა წარმოადგენდეს.

## პასუხი ,,ლამპარს''.

ლამპრისტები გვეუბნებიან: ,,მუშის'' და ,,ნობათის'' რედაქციებს ,,ეყოფათ, აწი კი შესდგენ, ჩვენი მოთმინების ფიალა აივსოვო''.

თუ ეს მუქარაა, მაშინ ტყუილად გასჯილან ,,ლამპრის'' მუქარისტები. გვეყოფა თუ არა, ის ჩვენ ვიცით. ჩვენ თქვენი მუქარის არ გვეშინიან და არ გვინდა ამ გვარადვე გიპასუხოთ, მხოლოდ ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გაუმასპინძლდეთ ყოველგვარ რეაქციას, სხვათა შორის თქვენსასაც, როგორც შეფერის გულწრფელ სოციალისტებს და მართლა რევოლიუციონერებს.

ამბობთ რომ ფიალა აგევსოთ. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ფიალა აამსო ,,ლამპრისტებმა?!''

თქვენ არ გთხოვთ უფლებას, რომლითაც ყველა კაცს აქვს ნება ალელდეს, აძაგოს საზიზღრობა.

ლამპრის გზა გადაცდენილ მუშებს, რომ ჰკითხოს კაცმა, ჩვენ, მათი სიტყვით, ნება არა გვაქვს ,,მუშის'' სახელით გაზეთი გამოუშვათ, რადგან ჩვენ მიმართულებას არ შეეფერება ამ გვარი სახელი. კარგი და პატიოსანი. რამ, ან ვინ უნდა გადასწყვიტოს ის კითხვა, რომელიც შესდგება შემდეგში: რომელი მიმართულება სოც.-დემოკრატიული თუ ანარქისტული უფრო სავსებით გამოსთქვამს პროლეტარიატის და განთავისუფლების მწყურვალე კაცობრიობის ინტერესებს?

იქნება თქვენ 50—600 მუშამ უნდა გადაწყვიტოთ ან საბუთებით ან ხმის უმეტესობით?

თქვენ ამბობთ, რომ ნებას არ მოგვცემთ. ვინ გთხოვათ თქვენ ნება, ან ვინ გთხოვს? ჩვენგანი—არავინ. ჩვენ ნებას არც თქვენგან და არავისგან არ ვთხოულობთ. ჩვენთან გვაქვს ჩვენი აჯანყებული ნება ყველა მცარცველების წინაალმდეგ მათ, შორის თქვენ ,,ლამპრისტების'' წინაალმდეგ.

თქვენ ამბობთ მუშა ვართო.

რა ვუყოთ მერე!

ჩვენც მუშა ვართ თავისუფლების დასამყარებლად და თქვენისთანა და ყოველგვარ ბატონობის დასანგრევათ. თქვენ-კი თქვენი მუშაობით თქვენ მტრებს ამდიდრებთ და ამძლავრებთ.

ვის დავუჯეროთ?

თქვენ 50—600 მუშას, თუ თბილისის 1000 პატრიოტ მუშას, თუ იმ მუშებს, რომლებიც ,,ლამპრის'' სიტყვით ეხალა გამრავლებულან და გაანარქისტებულან რუსეთში, თუ ინგლისის ტრედ-უნიონების მილიონ მუშებს, რომლებიც ბურჟუაზიულ ტენდენციებით არიან გაჟღენთილი, თუ გერმანიის 10000 ანარქისტ მუშას, თუ საფრანგეთის, იტალიის ისპანიის, არგენტინის რესპუბლიკის 100,000-ობით გაანარქისტებულ მუშებს.

# ახალი ამბავი

—12 ივნისს ერთ სარდაფში მოვიდა, ორი მუშა და სთხოვეს იქ მყოფთ ხელი მოეწერათ გაზეთ ,,მუშის'' წინაღმდეგ პროტესტზე, მაგრამ როდესაც იქ მყოფმა ერთმა მუშამ აუხსნა მათ რომ ანარქისტებს არა თუ რამე არ aaქვთ მუშების წინაალმდეგ, არამედ პირიქით სავსებით იცავენ მუშის ინტერესებს, და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ებრძვიან, როგორც ისეთ პარტიას, რომელიც ითვისებს მუშა ხალხის ინტერესების დამცველის სახელს და ნამდვილად კი ატყუებს პროლეტარიატს. ამის შემდეგ, მუშებმა, რომლებიც ხელის მომწერლებს ეძებდნენ, განაცხადეს რომ ჩვენ ეგ არ ვიცოდით, რადგანაც ლამპრის რედაქციამ დაგვავალა ხელის მომწერლების მოგროვებაო. ამის შემდეგ მიატოვეს ხელის მომწერლების ძებნას და წავიდნენ.

— 5 ივნისს გაზეთ „ლამპრის“ რედაქტორს, თავართქილაძეს, და მის სტამბაში მომუშავე მუშას ლაპარაკი მოუვიდათ და წაიჩხუბნენ, რის შემდეგაც, თავართქილაძე გამოვარდა ქუჩაში და მორთო ღრიალი „გოროდოვოი! გოროდოვოი!“ გოროდოვოიც მოვიდა, გოროდოვოის მოსვლით წათამამებულმა თავართქილაძემ მივარდა მუშას და დაუწყო ჯოხით ცემა, მუშამ მოინდომა თავის დაცვა, მაგრამ ამავ დროს გოროდოვოი მივარდა მუშას და შტიკი მოუღერა, მუშა შეშინდა და გაიქცა, ამხანაგები მიეშველენ მუშას, გოროდოვოის უნდოდა თოფში ტყვია ჩაედო და

კანონის არსებობას და არწმუნებს თავის მიმდევრებს, რომ მათ არ იწამონ ის დაწინაალმდეგობა გაუწიონ მის ასრულებას.'' ახლა ჩვენ ვიტყვით, რომ ანარქისტი უარყოფს არა მარტო ყველა არსებულ კანონებს, არამედ უფლობის და ავტორიტეტის ყოველ შესაძლებლობას. ის იწყებს იქიდან, რომ ეწინაალმდეგება უფლობას და ავტორიტეტს, რაგვარიც უნდა იყვენ ისინი. ანარქიზმი, გვეუბნებიან ჩვენ, უარყოფაა წესიერებისა, თუ შევხედავთ საგანს წესიერების და ხაოსის ცნების თვალთა ხედვით. მაგრამ რომელ წესიერებაზეა აქ ლაპარაკი? იმ ჰარმონიაზე, რომელზედაც ჩვენ ანარქისტები ოცნებობთ? იმ ჰარმონიაზე, რომელიც დამყარდება ადამიანთა დამოკიდებულებაში, როდესაც კაცობრიობა არ იქნება დაყოფილი ორ კლასსათ, რომლისაგან ერთი მეორეს მსხვერპლად ხდება? იმ ჰარმონიაზე, რომელიც აღმოცენდება ხოლმე ინტერესების სოლიდარობისაგან, როცა ყველა ადამიანები შემოიკრიბებიან ერთ ოჯახის გარშემო, როდესაც თითოეული იმუშავებს ყველას საკეთილდღეოთ და ყველა თითოსათვის? ცხადია, არა! მათ, რომელნიც აყვედრიან ანარქიას წესიერების უარყოფაში, მომავალი ჰარმონია კი არა აქვსთ სახეში, არამედ თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილება. ვნახოთ, რას წარმოადგენს ეს მედიდური (пресловутый) წეს-წყობილება, რომლის დანგრევას შეადგეხს ანარქიის მისწრაფება. წესიერება, უკვეთ რომ ვსთქვათ, ის, რასაც ისინი წესიერებას უწოდებენ, ნიშნავს მას, რომ კაცობრიობის ცხრა მეათედის რომელიც მუშაობს რჩეულთა სიამოვნებისა და მედიდურებისა და ერთი მუჭა უსაქმურთა უმდაბლესი გრძნობების დასაკმაყოფილებლათ.

წესიერება—ეს ნიშნავს იმას, რომ კაცობრიობის ცხრა მეათედი მოკლებულია ყველა მას, რაც შეადგენს ნორმალურ ცხოვრების და გონებითი ნიჭის რაციონალურ განვითარების აუცილებელ პირობებს. კაცობრიობის ცხრა მეათედის სატვირთავ პირუტყვების მდგომარეობამდე ჩამოყვანა, რომელნიც სცხოვრობენ დღითი დღე და ვერც კი ბედავენ იფიქრონ იმ სიამოვნებაზე, რომელსაც ანიჭებს კაცს მეცნიერება, ხელოვნება, შემოქმედება—აი რას უძახიან ისინი „წესიერებას!“

იმათი წესიერება—ეს შიმშილი, სილატაკეა, რომელნიც გამხდარან თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ნორმალურ პირობებათ.—

ეს ირლანდიის გლეხია, რომელიც კვდება შიმშილისაგან; ეს მესამედი რუსეთია, რომელიც იღუპება დიფტერიტი და ტიფისაგან, კვდება მოუსავლობისაგან მაშინ, როცა პურით სავსე ვაგონები გააქვსთ საზღვარ-გარეთ. ეს იტალიის ხალხია, რომელიც იძულებულია მიატოვოს მშვენიერი, ნოყიერი მინდვრები და ეძიოს სამუშაო რომელიმე ტონნელში, საცა ის ყოველ მინუტში გასრესას ელის. ეს მიწაა, რომელიც წაართვეს გლეხს და გაუშვეს საძოვარ მინდვრათ, რათა მოაშენონ პირუტყვი მდიდართა სუფრისათვის. ეს გაშვებული, დაუმუშავებელი მინდვრებია მაშინ, როცა ერთი ნაჭერი მიწაც არა აქვს გლეხს სამუშაოთ. ეს ქალია, რომელიც ჰყიდის თავს, რომ გამოკვებოს თავის ბავშვები; ეს ბავშვია, ქარხანაზე მიჯაჭული და მომაკვდავი ძალების შესუსტებისაგან; ეს მუშაა, მაშინის მდგომარეობამდე ჩამოყვანილი. ეს მოჩვენებაა, მთავრობის მდიდრების წინააღმდეგ ამხედრებული მუშისა. მათი წესიერება—არამნიშვნელოვანი უმცირესობაა, რომელიც ბატონობს უმრავლესობას და ზდის თავის ბავშვებს ისე, რომ მათ ეშმაკობით, გარყვნილებით და ამოწყვეტით შესძლონ თავიანთ ხელში შეინარჩუნონ უფლება და პრივილეგიები. მათი წესიერება—ეს განუწყვეტელი ჩხუბია კაცისა კაცთან, ხელობისა ხელობასთან, კლასსისა კლასსთან, ნაციისა ნაციასთან. ეს მუდმივი ზარბაზანთა გრგვინვაა, სოფლების განადგურებაა, ბრძოლის ველზე მთელი თაობის ამოჟლეტაა, მოსპობაა ერთ წამში სიმდიდრისა, რომელიც შეგროვილია მთელი საუკუნოების განმავლობაში მძიმე შრომით.

მათი წესიერება—ეს აზრის მონობაა, დამცირებაა კაცისა, რომელსაც ამშვიდებენ კნუტითა და თოფით.

ეს ათასი მაღნის მთხრელია, რომელნიც იხოცებიან მაღნების მქონეთა სიძუნწის და დაუდევრობის წყალობით, რომელთაც ხვრეტენ კარტეჩით და სდევნიან შტიკებით, თუ კი მათ გაბედეს თავის მაღლა აღება.

მათი წესიერება—ეს პარიზის კომმუნის სისხლში ჩახჩობაა. ეს სიკვდილია ოცდა ათი ათასი კაცებისა ბ ბავშვებისა, დაგლეჯილებისა გრანატებით, დახვრეტილებისა კარტეჩით, დამარხულთა პარიზის ქუჩებში. ეს რუსის ახალგაზდების ხვედრია, რომელიც ჩამწყვდეულია ნაოზახებში, დამარხულია ციმბირის თოვლში, რომელიც კვდება პალაჩის ხელით. აი რას

ესროლა მუშისათვის მაგრამ ის უკვე მიიმალა.

კარგი სოც.-დემ. მუშას უნდა სცემდეს და ამასთანავე გოროდოვოის უნდა იწვევდეს მუშის წინაღმდეგ? მე არ ვიცი თუ რა განსხვავებაა ამ სოც.-დემ. და პოლიციელს შორის.

— 10 ივნისს საღამოზე მეტეხის ციხიდან გაიქცენ 9 პოლიტიკური დამნაშავენი: მჟავანიძე, კაჩაური, კაჭაროვი, პავლიაშვილი, მჭედლიძე, ბასტრიჩევი, ნუცუბიძე, ჯირკველოვი. და ოთაროვი.

ორი უკანასკნელი შეუპყრიათ დანარჩენებმა კი თავს უშველეს.

11 ივნისს გაიფიცნენ კოროლანოვის კონკის მუშები და წარადგინეს ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებანი.

— გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა უსახელო საზოგადოებას ანგარიში გაუსწოროს ყველა გაფიცულს მუშებს, ვატმანებს კანდუკტორებს და სხვებს. მერმე მათ წინადადება მიეცემათ 3 დღის განმავლობაში დასტოვონ საგენერალ-გუბერნატორო. წინააღმდეგ შემთხვევაში ეტაპით გაიგზავნებიან.

— 10 ივნისს განაგრძო კრება სათავად აზნაურო თეატრის შენობაში ქართველ ღარიბ-მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებამ. კრებამ გაარჩია კომისიისაგან დაყენებული საკითხი სამღვთო ხჯულის სწავლების მოსპობის შესახებ სათავად-აზნაურო სასწავლებელში. კრებამ ბევრი კამათის შემდეგ სამღვთო სჯულის სწავლება ისევ დასტოვა სასწავლებელში.

— გამოვიდა და იყიდება ჩვენ რედაქციაში ,,ინტერნაციონალის გამოცემა: ,,მეამბოხის წერილები'' (рѣчи бунтовщика кропоткина), შემდეგის შინაარსით: 1. დღევანდელი ვითარება და 2. სახელმწიფოს გახრწნა-დარღვევა. წიგნი ღირს ერთი შაური.

# რუსეთის ქრონიკა

—

კრონშტადში დიდ მზადებაში არიან. ორანიენბაუმიდან ზარბაზნები და პულემეტები გამოგზავნეს. „ოხრანოე ოტდელენიის“ უფროსმა პოლკოვნიკმა ალექსანდრე გერასიმოვმა შეატყობინა პოლიციის დეპარტამენტს, რომ რევოლუციონურმა პროპაგანდამ ღრმა ფესვები გაიდგა და „ოხრანოე ოდელენიე“ მარტო ველარაფერ აწყობს. იგივე უფროსი ატყობინებს, რომ სოც.-რევ. ბევრი იარაღი აქვთ კრონშტადტშიო.

—

პერმში მუშათა ამბოხების დროს ალაპოვის ქარხნებში ჯარის კაცებმა და I ურალის პოლკისა ყაზახებმა უარი განაცხადეს მათ დაშოშმინებაზედ.

—

პეტერბ. გაზ. სიტყვით დადიან ხმები, რომ 4 ივნისს ერთ ქალს განუზრახია გენ. ტრეპოვის მოკვლა. ამბობენ, რომ ერთი მდიდრულად ჩაცმული ქალი მისულა პეტერგოფში, და სადგურზედ უკითხნია არის თუ არა კარეტა გენერალი ტრეპოვისა კნეინა №№ თვის? კარეტა მოუყვანიათ. ქალი მისულა სასახლეში და იქ უბძანებია მოეხსენებიათ მის შესახებ ტრეპოვისათვის. როდესაც ტრეპოვი ოთახში შემოსულა ქალს უცბად ამოუღია რევოლვერი, მაგრამ ამ დროს მისცვივნია მას მსახურები და დაუტუსაღებიათ.

—

პეტერბურგში ცარსკოე სელოში მომხდარა შეტაკება ჯარის კაცთა და გოროდოვოებს შორის. 2 გოროდოვოი მძიმედ არიან დაჭრილნი.

—

პეტერბურგში ცარსკო-სელსკის გუსარებიც აჯანყდნენ. ყველა ესკადრონებმა უარი განაცხადეს აფიცრების ბრძანებას არეულობაზე ამის შემდეგ პეტერგოფიდგან მობრძანდა იმპერატორი გენერალ ტრეპოვის თანახლებით.

—

ჯარის კაცებმა დაითხოვეს აფიცრები. იმპერატორი და ტრეპოვი შევიდნენ ჯარის კაცების წრეში. ჯარის კაცებმა დაითხოვეს ტრეპოვი, რომელიც საჩქაროთ წავიდა ცარსკოე-სელოდან. ჯარის კაცებმა გამოაცხადეს უკმაყოფილება, რომ მათ ჰგზავნიან ხალხის დასამშვიდებლათ, რომლის შორის ხშირად ხვდებიან თავიანთ ნათესავებს და მშობლებს.

—

პეტერბურგში დაიწყო გაფიცვები პურის მცხობლებისა, ფაბრიკა-ქარხნების მუშებისა და სხვ.

### წერილების ყუთი

მის უსინათლობას ,,ლამპარს''!

ქალ. თბილისში

მივიღეთ თქვენი ლექსად თქმული წერილი, აღნიშნული № 39.

რადგან თქვენი გონების ეს მეცნიერული ნაწარმოები შეკაზმულია თქვენეული ზეგარდმონიჭით ცხებული პოეზიით და ამასთანავე წარმოადგენს თქვენეულ სისულელის პოეტურად გამოთქმის დასაწყისს, რომელსაც ბოლო აღარ უჩანს ასე როგორც თქვენ გონებრივ ნაწარმოებთა სისუსტეს, ამიტომ ჩვენ პასუხს მოგართმევთ მაშინ როდესაც თქვენი უსინათლობა დაამთავრებს (?) თავის საზანდრობას.

მოქალაქე ა—ის

თბილისში

მართალია ის ცნობა, რომლითაც „ლამპრის“ რედაქციამ დაითხოვა თავისი ძველი თანამშრომ... „არლანჩიკები“ ტ ეხლა მოიწვია ... დგან „საზანდრები“ თავუნა... მეთაურობით და კაპელმეისტ...

### გადაიდვა სანაგვე ყუთში

—

— ,,ლამპრის'' პოეზია: ,,ცე... ლოს'' ხმაზე—ეშმაკისა.

— ,,ლამპრის'' პროტესტი ... სუფლების წინააღმდეგ.

# დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშე...)

—

**ელისავეტოპოლი.** გუშინ ... გზის სადგურზე გოროდოვოიმ ... კლა მუშა გაპჟენკო, მისი ... ტორებითი უდიდებულესობის ... რაცყოფისათვის.

**პეტერბურგი.** ,,პრავიტელს... ნი ვესტნიკში'' დასტამბულია ... ზი'' გაძლიერებული დაცვის ... ბის გაძლიერების შესახებ მოსკ... მოსკოვისა და მინსკის გუბერნი... ოდესის მაზრაში, ხერსონის ... ბერნიაში, გარდა სოფელ ბარ... ვიჩისა და ამავე სახელწოდების ... გურისა მინსკის გუბერნიაში, ს... სამხედრო წესებია გამოცხადებ...

**სარატოვი.** გაფიცულ ... გლების მცირე მოთხოვნილ... დაკმაყოფილებულია. გაფიცვა ... წყდა.

**ბახმუტი.** მუშაობა დონეცკი... -ში განახლდა, მოთხოვნილ... დაუკმაყოფილებელია.

**ვარშავა.** ტრამვაით გამვლ... ორ გოროდოვოისთვის, ვიღაც ... ნობს უსროლიათ. ერთი მკვდარ... მკვლელნი მიიმალნენ.

**ნიკოპოლ.** გაიფიცნენ რკინ... და ელექტრონის განყოფილების მ... შები მარიუპოლკის ქარხნისა. მო... ხოვნილებანი ეკონომიური ხასი... თისაა.

**ელიზავეტოპოლი.** აქ გა... ცელდა ცარცვა-გლეჯა ნაციონა... ლურ ნიადაგზე.

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ ღიასამიძე

---

უწოდებენ ,,წესიერებას!'' ახლა ვნახოთ, რა არის უწესოება,—უკვეთ ვსთქვათ, ის, რასაც ისინი უწესოებას უწოდებენ? უწესოება—ეს არსებულ საზიზღარი წესწყობილების დანგრევაა, ეს აჯანყებაა ხალხისა, რომელიც ამტვრევს ბორკილებს და მიდის საუკეთესო მომავლისაკენ. ეს ხალხის თვითცნობიერების გამოღვიძებაა, ეს ყველაზე უძვირფასესია, რაც კი რამ არის კაცობრიობის ისტორიაში. ეს აშფოთებაა აზრისა რევოლიუციის წინ, ეს დანგრევაა ჰიპოტეზებისა, წინა საუკუნის უმოძრაობით დაკანონებულებისა; ეს აყვავებაა ახალი აზრების ნაკადულისა და გაბედული გამოგონებისა; ეს გადაწყვეტაა მეცნიერული პრობლემებისა. უწესოება —ეს მოსპობაა ძველი მონობისა, მოსპობაა ფეოდალური ბატონყმობისა, ეს ცდაა ეკონომიური მონობის მოსპობისათვის. ეს აშფოთებაა სამღვდელოების, მემამულეების წინააღმდეგ, ეს აჯანყებაა გლეხებისა, რომელნიც სწვავენ სასახლეებს, რათა გასწმინდონ ადგილი ქოხებისათვის, და ამოდიან ღამე სარდაფებიდან, რათა დაიკავონ მზიანი ადგილი. ეს საფრანგეთია, რომელიც სპობს მეფის უფლობას.

ეს 1848 წელია, რომელმაც კანკალი დააწყებია მეფეებს და გამოაცხადა უფლება შრომისა. ეს პარიზის ხალხია, რომელიც იბრძვის ახალ იდეისათვის, კვდება ბარრიკადებზე უტოვებს თავუსუფალ კომუნის იდეას კაცობრიობას და უჩვენებს მას გზას სოციალურ რევოლიუციისაკენ. უწესოება—ეს ეპოხებია მთელი სხვა და სხვა თაობის განუწყვეტელი ბრძოლისა კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის, მის მონობისაგან განთავისუფლებისათვის. ეს ეპოხებია ხალხის გენიის გამოფხიზლებისა, ეპოხებია ხალხის თავისუფალი შემოქმედებისა, გიგანტიური ნაბიჯებისა წინ, ურომლისოთ ადამიანი დარჩებოდა სამუდამოთ ქვემძრომ არსებათ, გასრესილი (подавленнымъ) თავის სიღარიბისაგან. წესიერება—ეს კეთილშობილურ ვნებათა და გულის-თქმათა აყვავებაა, ეს ეპოპეაა მაღალი სიყვარულისა კაცობრიობისდმი! სიტყვა ანარხია, რომელიც გამოხატავს არსებულ წეს-წყობილების უარყოფას და გვიღვიძებს მოგონებას კაცობრიობის ცხოვრების ულამაზეს მომენტებზე. ნუ თუ არ შეესაბამება ის ანარხისტების იდეას? ნუთუ არ შეჰფერის ის სახელწოდებას პარტიისას, რომელიც მიისწრაფის საუკეთესო მომავლის მოსაპოებლათ.

დონ—ჯან

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.